

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის
საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 25 მარტს მიიღო ცვლილებები და დამატებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. მოცემულმა ცვლილებებმა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები გაითვალისწინა სისხლის სამართლის პროცესში. ამავე დროს, იმის მიუხედავად, რომ მარტში განხორციელებული ცვლილებები შეეხოდა კოდექსის სამასამდე მუხლს, კოდექსში კვლავ დარჩა რამოდენიმე დებულება, რომლებშიც ცვლილებების შეტანაც აუცილებელია უკვე განხორციელებული ცვლილებების ეფექტური იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ცვლილებების დიდი ნაწილი ტექნიკური ხასიათისა და მიზნად ისახავს ტერმინოლოგიური შეცდომების გამოსწორებას. ამავე დროს ცვლილებების მიხედვით ხუსტდება გარკვეული საპროცესო გადაწყვეტილებების სასამართლო წესით გასაჩივრების პროცედურა (24-ე, 259-ე, 243-ე და სხვა მუხლები).

სასამართლო სისტემის ოპტიმიზაციის თვალსაზრისითა და რაიონული (საქალაქო) სასამართლოთა როლის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალია აღკვეთი ღონისძიებების და სხვა საპროცესო მოქმედებაზე სასამართლოს ბრძანების გაცემა მოხდეს მხოლოდ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ფარგლებში. ხოლო ავტონომიური რესპუბლიკისა და საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიებმა განიხილონ შესაბამისი საჩივრები. ამის საფუძველზე გათვალისწინებულია შესაბამისი ცვლილებები კოდექსის 48-ე და სხვა მუხლებში.

კოდექსში ნათლად მიეთითება, რომ საექსტრადიციო პატიმრობის მიმართ გამოიყენება ისეთივე გასაჩივრების პროცედურები, როგორც წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში (243-ე მუხლი).

ასევე წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს შესაბამისი გარდამავალი დებულებების დამატებას, რომლის მიზანია გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირება, რომლებიც წარმოიშვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოთა განსჯადობის შეცვლით.

წარმოდგენილი ცვლილებები არ იწვევს დამატებით საფინანსო - საბიუჯეტო დანახარჯებს.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.

განმარტებითი ბარათი
საქართველოს ორგანულ კანონზე
"პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში
ცვლილების შეტანის შესახებ"

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადების საფუძველია 2005 წლის 25 მარტს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები და დამატებები. წარმოდგენილი კანონპროექტის გათვალისწინებულია იმ სუბიექტთა ჩამონათვალი, რომელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნას ახორციელებს უშუალოდ საქართველოს გენერალური პროკურორი. ცვლილების მიხედვით ჩამონათვალში აღარ ფიგურირებს პოლიციელი. მოცემული ცვლილება განპირობებულია პოლიციელთა მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმეების სიმრავლით. შესაბამისად, რათა არ მოხდეს საპროცესო ვადების დარღვევა აუცილებელია რიგით პოლიციელების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელონ უშუალოდ იმ რაიონის პროკურატურამ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩადენილ იქნება დანაშაული.

წარმოდგენილი ცვლილება არ იწვევს დამატებით საფინანსო-ეკონომიკურ დანახარჯებს.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ"
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ"

საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 25 მარტს მიიღო ცვლილებები და დამატებები საქართველოს სისხლის სამართლის სამოქმედო კოდექსში. მოცემულმა კანონმა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები გაითვალისწინა სისხლის სამართლის პროცესში. ასევე დროს, იმისათვის, რათა მოხდეს მარტში განხორციელებული ცვლილებების ეფექტური აღსრულება, აუცილებელია წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება საქართველოს კანონში "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ".

ა.წ. მარტში განხორციელებული ცვლილებებით გაუქმდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის პროცესული ინსტიტუტი და გამოიძევა დაექვემდებარა სავალდებულობის პრინციპს. იქიდან გამომდინარე, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს, როგორც გამოძიების დაწყებამდე, ისე მის შემდეგ, აუცილებელია კანონმდებლობაში არსებობდეს საერთო წესი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მიმართ სასამართლო კონტროლის თვალსაზრისით. ცვლილებების მიხედვით, კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია გარკვეულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე სასამართლოს ბრძანების გაცემის აუცილებლობა. ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტი კი ითვალისწინებს ამავე ღონისძიებებზე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის ვალდებულებას 12 საათის ვადაში მიმართოს სასამართლოს და მთიოხივის აღნიშნული ღონისძიებების დაკანონება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლო ამოწმებს, როგორც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების კანონის შესაბამისად ჩატარებას, ასევე მოცემული ღონისძიების გადაუდებელი ჩატარების აუცილებლობას.

წარმოდგენილი ცვლილებები არ იწვევს დამატებით საფინანსო-ეკონომიკურ დანახარჯებს.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.